



საინფორმაციო ურცელი
ავტორანსპორტის დაზღვევა
#MO/E-002/20



გამარჯობა

თქვენ ეცნობით ავტოტრანსპორტის დაზღვევის ძირითად პირობებს. აღნიშნული საინფორმაციო ფურცელი არ შეიცავს ამომწურავ ინფორმაციას და იგი არ არის დაზღვევის ხელშეკრულების ტოლფასი. შესაბამისად, მისი გაცნობა არ წარმოშობს ჩვენს შორის სამართლებრივ შედეგებს.

ვინ არის მზღვეველი?

მზღვეველი ორგანიზაციაა სს „თიბისი დაზღვევა“ (ს/კ 405042804)

მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #24ბ

ცხელი ხაზი/ტელეფონი: (+995 32) 242 22 22

დაზღვევის ხელშეკრულების სახე

წინამდებარე საინფორმაციო ფურცელი შეიცავს მოკლე ინფორმაციას ავტოტრანსპორტის დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ. თქვენს მიერ შესაბამისი დაზღვევის შექმნის შემთხვევაში, გადმოგეცემათ დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი „სადაზღვევო პოლისი“, რომელიც, მასში მითითებულ დაზღვევის პირობებთან, სადაზღვევო პოლისის დანართ(ებ)თან და ჩვენთვის მოწოდებულ ინფორმაციასთან ერთად, დაზღვევის ერთიან ხელშეკრულებას წარმოადგენს.

სადაზღვევო პოლისში მითითებული, დაზღვევის პირობების სრული ვერსიის ნახვა შეგიძლიათ ჩვენს ვებ გვერდზე www.tbcinsurance.ge. თქვენს მიერ დაზღვევის შექმნა გულისხმობს, რომ დაეთახმეთ ვებ გვერდზე განთავსებულ და პოლისში მითითებულ დაზღვევის პირობებს **#MO/E-002/20**.

დაზღვეული რისკები და დაფარვის პირობები

ავტოტრანსპორტის დაზღვევა შედგება ორი სექციისგან:

A. ავტოტრანსპორტის ძარის დაზღვევა - ჩვენ ავანაზღაურებთ დაზღვეული რისკების შედეგად, დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაზიანება ან/და განადგურებით გამოწვეულ ზარალს, სადაზღვევო პოლისში მითითებული ფრანშიზის გამოკლებით.

ამასთან, ანაზღაურდება დაზღვეული ავტოტრანსპორტისთვის მიყენებული ისეთი ზიანი, რომელიც გამოწვეულია ქვემოთ მითითებული დაზღვეული რისკებით, თუ ეს დაზღვეული რისკები თქვენს მიერ იქნა შერჩეული და ფიქსირდება ჩვენს მიერ გაცემულ სადაზღვევო პოლისში:

- იდენტიფიცირებული მესამე პირ(ებ)ის მიერ გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევა;
- ხანძარი, აფეთქება, საგნის დაცემა, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა ან მათი მცდელობა, ვანდალიზმი;
- სტიქიური მოვლენები (წყალდიდობა, ქარიშხალი, მეწყერი, დვარცოფი, სეტყვა, მიწისძვრა და მეხის დაცემა);
- ავტოტრანსპორტის საქარე მინის ისეთი დაზიანება. როდესაც ზიანდება მხოლოდ საქარე მინა, დაზღვეული ავტოტრანსპორტის სხვა დეტალ(ებ)ის დაზიანების გარეშე.

B. მესამე პირ(ებ)ის წინაშე ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა - ჩვენ ავანაზღაურებთ უფლებამოსილი მძღოლის მიერ დაზღვეული ავტოტრანსპორტის მართვის შედეგად მესამე პირ(ებ)ის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისთვის მიყენებული ზიანით გამოწვეულ ზარალს.

მესამე პირ(ებ)ის წინაშე ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ლიმიტი განისაზღვრება 5 000 და 10 000 ლარით, თქვენი არჩევანის შესაბამისად.

როგორ ვაკეთებთ ვრცელდება დაზღვევა?

დაზღვევა ვრცელდება მხოლოდ საქართველოს (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა) ტერიტორიაზე, თუ თქვენი სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თქვენი ფინანსური თანამონაწილეობის შესახებ

დაზღვევის შესაძენად, უნდა გადაიხადოთ სადაზღვევო პრემია, თქვენს მიერ შერჩეული და ჩვენთან შეთანხმებული გადახდის გრაფიკის შესაბამისად, რაც ასახული იქნება სადაზღვევო პოლისში.

თქვენი ფინანსური თანამონაწილეობა, ასევე შესაძლოა განისაზღვროს ფრანშიზის ოდენობით, რომლის არსებობა და ოდენობა დაფიქსირდება სადაზღვევო პოლისში.

როგორ აქტიურდება სადაზღვევო პოლისი?

სადაზღვევო პოლისი აქტიურდება მასში მითითებული სადაზღვევო პერიოდის საწყისი თარიღის 24:00 საათზე, თუ სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული პრემიის პირველი ან ერთჯერადი ტრანში გადახდილია სრულად და ავტოტრანსპორტი დასურათებულია ჩვენი წარმომადგენლის მიერ ან ჩვენს მიერ მითითებული, თიბისი დაზღვევის აპლიკაციის მეშვეობით.

როგორ უნდა მოიქცეთ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

- დაყოვნებული დაგვიკავშირდით **ჩვენს** ცხელ ხაზზე (+995 32) 2 42 22 22 და მოგვაწოდეთ სრული ინფორმაცია **სადაზღვევო შემთხვევის** შესახებ. თუ **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** დაზიანება ან/და განადგურება გამოწვეულია სტიქიური მოვლენებით, **ჩვენთან** დაკავშირება უნდა მოხდეს არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა სტიქიის დადგომიდან.
- დაუყოვნებლივ გამოიძახეთ საპატრულო პოლიცია (112). საპატრულო პოლიციის გამოძახება არ არის სავალდებულო, თუ **სადაზღვევო შემთხვევის** შედეგად დაზიანდა **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** მხოლოდ საქარე მინა ან **სადაზღვევო შემთხვევა** გამოწვეულია **სტიქიური მოვლენით**.
- არ გადაადგილოთ **დაზღვეული ავტოტრანსპორტი** და არ მიატოვოთ შემთხვევის ადგილი საპატრულო პოლიციის და **ჩვენი** წარმომადგენლის მოსვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** გადაადგილება ან/და **თქვენს** მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება შეთანხმებულია **ჩვენთან** ან მოითხოვება საპატრულო პოლიციის მიერ.

რა არ ანაზღაურდება?

გამონაკლისები ავტოტრანსპორტის ქარის დაზღვევის სექციისთვის (სექცია A)

ანაზღაურებას არ ექვემდებარება:

- ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული ზარალი, თუ ავტოსაგზაო შემთხვევაში ბრალეული მხარე:
 - ხართ თქვენ ან ნებისმიერი უფლებამოსილი მძღოლი; ან
 - ხართ თქვენ და ნებისმიერი მესამე პირ(ებ)ი (შერეული ბრალი); ან
 - არ არის იდენტიფიცირებული.
- ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელზეც არ არსებობს საკატრულო პოლიციის მიერ შედგენილი საჯარიმო ქვითარი.
- ქურდობით გამოწვეული ზარალი, თუ დაზღვეული ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა ან/და გასაღები დატოვებული იყო დაზღვეულ ავტოტრანსპორტში.
- ქურდობით გამოწვეული ზარალი, თუ დაზღვეული ავტოტრანსპორტი დატოვებული იყო ღია მდგომარეობაში (არ იყო ჩაკეტილი), ჩაწეული იყო მინები ან დაზღვეული ავტოტრანსპორტის გასაღები გადაცემული იყო არაუფლებამოსილი მძღოლისთვის.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტის კატალიზატორის ქურდობა, ძარცვა.
- ამორტიზაციით, ცვეთით, კოროზიით, ჟანგვით გამოწვეული ზარალი.
- დაზღვეული რისკების გარდა ნებისმიერი სხვა მიზეზით გამოწვეული ზარალი.
- დაზღვეულ ავტოტრანსპორტში ან/და დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე დამონტაჟებული არაქარხნული დეტალების, მოწყობილობების, აქსესუარების (მათ შორის ტელე-აუდიო-ვიდეო აპარატურის) დაზიანებით ან განადგურებით გამოწვეული ზარალი.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტის დასაკეცი/მოხსნადი სახურავის (მათ შორის ტენტი) ან/და მისი მექანიზმის დაზიანებით ან განადგურებით გამოწვეული ზარალი.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტის სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრის ნებისმიერი მიზეზით დაკარგვით ან დაზიანებით გამოწვეული ზარალი.
- საბურავის დაზიანებით გამოწვეული ზარალი, თუ მასთან ერთად არ მომხდარა დაზღვეული ავტოტრანსპორტის სხვა ნაწილების დაზიანება.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტისთვის დაუდგენელ ვითარებაში, დაუდგენელი პირის მიერ მიყენებული ზიანი.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტის იმ ნაწილების შეკეთების, ჩანაცვლების ან/და აღდგენის ხარჯები, რომლებსაც სადაზღვევო შემთხვევამდე აღენიშნებოდა დაზიანება.
- საერთო გამონაკლისებში ჩამოთვლილი შემთხვევებით გამოწვეული ზარალი.

გამონაკლისები მესამე პირ(ებ)ის წინაშე ავტომფლობელის სამოქალაქო კასუსისმგებლობის დაზღვევის სექციისთვის (სექცია B)

ანაზღაურებას არ ექვემდებარება:

- შემთხვევა, როდესაც დაზარალებულ პირს წარმოადგენთ თქვენ, მოსარგებლე, დაზღვეული ავტოტრანსპორტის მესაკუთრე, მათი ან თქვენი ოჯახის წევრ(ებ)ი ან დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლი ან/და მგზავრები.

- ჩვენთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე, მესამე პირ(ებ)ის წინაშე აღიარებული პასუხისმგებლობა ან/და გაწეული ხარჯები.
- მესამე პირ(ებ)ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ან/და გარდაცვალება, სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 12 (თორმეტი) კალენდარული თვის გასვლის შემდეგ.
- წმინდა ფინანსური ზარალი, როდესაც არ იკვეთება მესამე პირ(ებ)ის ქონების ან/და ჯანმრთელობის დაზიანება ან/და განადგურება.
- სადაზღვევო პოლისში მითითებული დაზღვევის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მომხდარი შემთხვევები.
- საერთო გამონაკლისებში ჩამოთვლილი შემთხვევებით გამოწვეული ზარალი.

საერთო გამონაკლისები დაზღვევის ყველა საქცილისთვის (საქციები A და B):

სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა, თუ:

- თქვენს მიერ ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაცია არასწორი, არაზუსტი, არასრული, ყალბი ან შეცდომაში შემყვანია.
- თქვენ არ გვაცნობთ სადაზღვევო პერიოდში დაზღვეული ავტოტრანსპორტის გასხვისების, მესამე პირ(ებ)ის სასარგებლოდ დატვირთვის, დაყადაღების, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტი გამოიყენებოდა არა პირადი დანიშნულებით.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაზიანება გამოწვეულია ცხოველის, ფრინველის, მღრღნელის მიერ, გარდა ისეთი შემთხვევ(ებ)ისა, როდესაც ავტოსაგზაო შემთხვევა გამოწვეულია ცხოველთან შეჯახებით და ამავდროულად იდენტიფიცირებულია ასეთი ცხოველის ბრალეული მეპატრონე, სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემულ ოფიციალურ დოკუმენტაციაში.
- სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ვადაგადაცვილება სადაზღვევო პრემიის გადახდაზე აღემატება 14 (თოთხმეტი) კალენდარულ დღეს.
- ზიანი არსებობდა დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებამდე ან/და სადაზღვევო შემთხვევამდე.
- სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უფლებამოსილი მძღოლი იმყოფებოდა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ, უფლებამოსილმა მძღოლმა უარი განაცხადა მისი მდგომარეობის დასადგენად საჭირო ტესტ(ებ)ის/სინჯების ჩაბარებაზე ან/და ჩვენთვის არ იქნა მოწოდებული შესაბამისი ფაქტის დადგენის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზღვეულ ავტოტრანსპორტს მართავდა არაუფლებამოსილი მძღოლი ან მართვის უფლების არ მქონე პირი ან პირი, რომელსაც მართვის უფლება დროებით შეზღუდული, შეჩერებული ან ჩამორთმეული აქვს.
- ზარალი გამოწვეულია თქვენი ან უფლებამოსილი მძღოლის უხეში გაუფრთხილებლობით, თვითმკვლელობით, თვითმკვლელობის მცდელობით ან/და საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებით ან ზიანის მიყენების მცდელობით.
- სადაზღვევო შემთხვევა შედეგად მოყვა თქვენი, მოსარგებლის ან უფლებამოსილი მძღოლის განზრახ ქმედებას ან ამგვარის მცდელობას.
- თქვენ, მოსარგებლემ ან უფლებამოსილმა მძღოლმა გამოიწვიეთ ან შეეცადეთ გამოგწვიათ სადაზღვევო შემთხვევა.

- თქვენ, მოსარგებლემ ან უფლებამოსილმა მძღოლმა გააყალბეთ ან შეეცადეთ გააყალბებინათ სადაზღვეო შემთხვევასთან ან სადაზღვეო ანაზღაურებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.
- ზარალი გამოწვეულია მესამე პირ(ებ)ის მიერ ჩადენილი თაღლითობით, გამოძალვით, მითვისებით ან ასეთის მცდელობით.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაზიანება შედეგად მოყვა დაზღვეული ავტოტრანსპორტის როგორც ტვირთის ტრანსპორტირებას, მათ შორის მისი ლაფეტით გადაზიდვას, ბუქსირით გადაადგილებას ან მის დატვირთვა/გადმოტვირთვას (არ იგულისხმება ჩვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ დაზღვეული ავტოტრანსპორტის გადაადგილებისას დამდგარი ზარალი).
- ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტოტრანსპორტის საჯარიმო სადგომზე გადაყვანით ან საჯარიმო სადგომზე დგომის დროს.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტი გამოიყენება ავტოდრომზე ან მის გარეთ ნებისმიერი სახის რბოლაში/სისწრაფის გამოცდაში/შეჯიბრში (მათ შორის Off Road), ასევე ნებისმიერი სახის ტესტირებისთვის (მათ შორის Test Drive), სამაშველო სამსახურისთვის.
- დაზღვეულ ავტოტრანსპორტში მგზავრთა რაოდენობა აღემატებოდა დასაშვებ რაოდენობას ან გადაჭარბებული იყო დატვირთვის დასაშვები მაქსიმალური ზღვარი/წონა.
- სადაზღვეო შემთხვევა დადგა დაზღვევის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტის VIN კოდი/შასის ნომერი არ ემთხვევა დაზიანებული ავტოტრანსპორტის VIN კოდს/შასის ნომერს.
- ზიანი დაზღვეულ ავტოტრანსპორტს მიადგა აეროდრომის ან აეროპორტის ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც გამოიყენება თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენად, გადასაადგილებლად, სადგომად, აეროპორტის მომსახურებისათვის განკუთვნილ გზად ან აეროპორტში საბაჟო შემოწმებისათვის.
- ზიანი დაზღვეულ ავტოტრანსპორტს მიადგა სამშენებლო ან/და ისეთ ტერიტორიაზე, რომელზეც ავტოტრანსპორტით გადაადგილება შეზღუდულია ან აკრძალულია.
- ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტოტრანსპორტის შეკეთების შედეგად გამოწვეული გაუფასურებით.
- სადაზღვეო შემთხვევა გამოწვეულია დაზღვეული ავტოტრანსპორტის ტექნიკური გაუმართაობით.
- ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელიც მოხდა საავტომობილო გზის, ეზოს, ავტოფარეხის გარდა სხვა ტერიტორიაზე;
- ჩვენთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, დაზიანებული დაზღვეული ავტოტრანსპორტის აღდგენაზე/სარემონტო სამუშაოებზე გაწეული ხარჯები.
- დაზიანდება თქვენს საკუთრებაში, მფლობელობაში ან მინდობილ საკუთრებაში არსებულ ქონება ან თქვენთვის შესანახად, სამეთვალყურეოდ ან სამართავად მიბარებული ქონება.
- ისეთი ქონების დაზიანება, რომელიც გადაიზიდებოდა დაზღვეული ავტოტრანსპორტით ან მიმაგრებული იყო მასთან ნებისმიერი სახის მისაბმელით.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტი იმყოფებოდა მართვისათვის/ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში.

- ორმაგი დაზღვევის არსებობის პირობებში, ადგილი ექნება სრული სადაზღვევო ანაზღაურების მიღების მცდელობას.
- თქვენ ან მოსარგებლე უარს აცხადებთ ჩვენთვის ზიანზე პასუხისმგებელი მესამე პირ(ებ)ის მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების გადმოცემაზე ან ასეთი უფლების გამოყენება შეუძლებელია თქვენი ან მოსარგებლის ქმედებით.
- ჩვენი წარმომადგენლის მისვლამდე დაზღვეული ავტოტრანსპორტი გადაადგილებულია ან თქვენ ან უფლებამოსილი მძღოლს მიტოვებული გაქვთ შემთხვევის ადგილი, გარდა ჩვენი ან საპატრულო პოლიციის მიერ გაცემული მითითების საფუძველზე.
- დაზღვეული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების, საგარანტიო შეკეთებისა და გასაღების მოპარვის ან დაკარგვის შემთხვევაში, საკეტების გამოცვლის ხარჯები.
- ხარჯები, რომელიც აუმჯობესებს დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაზღვევამდე არსებულ მდგომარეობას.
- ზარალი გამოწვეულია ცვეთით, კოროზიით, დაჟანგვით, თანდაყოლილი დეფექტით, დეფექტური მასალების გამოყენებით და სხვა ბუნებრივი თვისებებით.
- ნებისმიერი ტიპის ადმინისტრაციული თუ სხვა სახის ჯარიმა, მათ შორის საჯარიმო სადგომზე დგომის ხარჯები, მიუღებელი შემოსავლები, მორალური ზიანი, სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალების დაქირავების ღირებულება.
- თქვენ არასაპატიო მიზეზით დაარღვიეთ წინამდებარე დაზღვევის პირობებით განსაზღვრული ვადები (მაგ.: არ არსებობს საბუთის ვადაში წარმოდგენლობის დასაბუთებული მიზეზი).
- სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულია საომარი მოქმედებით (მიუხედავად იმისა ომი გამოცხადებულია თუ არა), სამოქალაქო ომით, რევოლუციით, სამხედრო ან უზურპატორული ძალაუფლების გამოყენებით, აჯანყებით, გაფიცვით, სამოქალაქო არეულობით, ტერორისტული აქტით ან მისი მცდელობით.
- სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულია იონიზირებული რადიაციით, რადიოაქტიური დაბინძურებით, ნებისმიერი სახის რადიოაქტიური გამოსხივების მქონე ბირთვული საწვავით ან რადიოაქტიური წვის შედეგად მიღებული ნარჩენებით, გარემოს დაბინძურებით, რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო ნაერთების ტრანსპორტირებით.
- ზარალი გამოწვეულია კონფისკაციით, დაპატიმრებით, დაკავებით ან სახელმწიფო ორგანოების დავალების საფუძველზე განხორციელებული ქმედებით.
- თუ ადგილი აქვს თქვენი, მოსარგებლის, უფლებამოსილი მძღოლის მიერ სადაზღვევო პოლისით ან/და წინამდებარე დაზღვევის პირობებით გათავლისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას.
- ზარალი გამოწვეულია ისეთი ქმედებით, რომლის განხორციელება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გვაძლევს უფლებას უარი ვთქვათ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

ანაზღაურების ძირითადი პირობები

სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე მოთხოვნა უნდა წარმოგვიდგინოთ წერილობითი ფორმით.

სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ჩვენს მიერ ასანაზღაურებელი თანხის ჯამური ოდენობა შემოიფარგლება სადაზღვევო პოლისში დაზღვევის თითოეული სექციისთვის განსაზღვრული ანაზღაურების ჯამური ლიმიტით.

ავტოტრანსპორტის ნაწილობრივი დაზიანებისას:

ზარალის შეფასება მოხდება ჩვენს მიერ შერჩეული ავტო სერვის ცენტრ(ებ)ის მიერ, მეორადი ნაწილების ღირებულებაზე დაყრდნობით.

ჩვენ ავანაზღაურებთ დაზიანებული ავტოტრანსპორტის აღდგენის ღირებულებას, სადაზღვევო პოლისში მითითებული ფრანშიზისა და თქვენს მიერ ნებისმიერი მესამე პირ(ებ)ისგან მიღებულ კომპენსაციასა და ფრანშიზის თანხას შორის სხვაობის გამოკლებით.

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიერ გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა აჭარბებს სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ ანაზღაურების ჯამური ლიმიტის 40%-ს, სადაზღვევო ანაზღაურების თანხას ასევე გამოაკლდება ჯამური სადაზღვევო პრემიის გადაუხდელი ნაწილი.

იმ შემთხვევაში, თუ დაზიანებულია მხოლოდ საქარე მინა და დაზღვეული ავტოტრანსპორტის სხვა ნაწილებს დაზიანება არ აღენიშნება, ჩვენს მიერ ასანაზღაურებელი თანხის ჯამური ოდენობა შემოიფარგლება ანაზღაურების ქველიმიტით. თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად, საქარე მინის დაზიანებასთან ერთად აღინიშნება დაზღვეული ავტოტრანსპორტის სხვა ნაწილების დაზიანებაც, საქარე მინის დაზიანება ანაზღაურდება ანაზღაურების ჯამური ლიმიტის ფარგლებში.

ავტოტრანსპორტის სრული დაზიანება/განადგურებისას:

ჩვენ ავანაზღაურებთ დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებას, სადაზღვევო პოლისში მითითებული ფრანშიზის, თქვენს მიერ ნებისმიერი მესამე პირ(ებ)ისგან მიღებულ კომპენსაციასა და ფრანშიზის თანხას შორის სხვაობის, სადაზღვევო პერიოდში ანაზღაურებული ზარალ(ებ)ის, ჯამური სადაზღვევო პრემიის გადაუხდელი ნაწილისა და დაზღვეული ავტოტრანსპორტის ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულება ნაკლებია ანაზღაურების ჯამურ ლიმიტზე, ჩვენს მიერ ასანაზღაურებელი თანხის ჯამური ოდენობა შემოიფარგლება ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებით სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის.

თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულება აღემატება **ანაზღაურების ჯამურ ლიმიტს**, ჩვენს მიერ ასანაზღაურებელი თანხის ჯამური ოდენობა შემოიფარგლება **ანაზღაურების ჯამური ლიმიტით**.

რამდენ დღეში ანაზღაურდება ზარალი?

გადაწყვეტილება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისა და მისი ოდენობის შესახებ მიიღება ჩვენს მიერ მოთხოვნილი საბუთების სრულყოფილად წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

ზარალის ანაზღაურება მოხდება სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტზე ორივე მხარის მიერ ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

დაზღვეული ავტოტრანსპორტის ქურდობის, ძარცვის ან/და ყაჩაღობის შემთხვევაში, თუ დაზღვეული ავტოტრანსპორტი არ იქნება აღმოჩენილი პოლიციაში გაცხადებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, ზარალის ანაზღაურება მოხდება ასეთი ვადის გასვლიდან და სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტის ორივე მხარის მიერ ხელმოწერიდან, 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

ხელშეკრულების შეწყვეტა და სხვა ფინანსური ხარჯი

დაზღვევა შეიძლება შეწყდეს, როგორც თქვენი, ისე ჩვენი მოთხოვნით, ნებისმიერ დროს, ინიციატორი მხარის მიერ, მეორისთვის დაზღვევის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში წერილობითი შეტყობინების გზით ან დაზღვევის პირობებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, სხვა შემთხვევებისთვის გათვალისწინებული წესით.

დაზღვევა ავტომატურად გაუქმდება წინასწარი შეტყობინების გარეშე, თუ სადაზღვევო პოლისში მითითებული გადახდის თარიღიდან გადაცილებულია 30 კალენდარული დღე (იგულისხმება სადაზღვევო პოლისში განსაზღვრული, გადახდის გრაფიკით გათვალისწინებული ნებისმიერი გადახდა, გარდა პირველი გადახდისა). ამგვარ შემთხვევაში ჩვენს მიერ დაზღვევის გაუქმებისას, თქვენ ვალდებული ხართ სრულად გადაიხადოთ დაზღვევის გაუქმების თარიღისთვის გამომუშავებული და გადაუხდელი სადაზღვევო პრემია.

თქვენი ინიციატივით სადაზღვევო პოლისის შეწყვეტისას, თქვენ ვალდებული ხართ 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით მოგვმართოთ გაუქმების მოთხოვნით.

თქვენი ინიციატივით დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისას, თუ შეწყვეტამდე ადგილი არ ჰქონია სადაზღვევო შემთხვევას, თქვენ ვალდებული ხართ სრულად გადაიხადოთ დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმების თარიღისთვის გამომუშავებული და გადაუხდელი სადაზღვევო პრემია და დაზღვევის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის პირგასამტეხლო, გამომუშავებული პრემიის 10%-ის ოდენობით.

თქვენი ინიციატივით დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისას, თუ შეწყვეტამდე ჩვენს მიერ მოხდა სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა, თქვენ ვალდებული ხართ სრულად გადაიხადოთ სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული ჯამური სადაზღვევო პრემია, ჩვენს მიერ ანაზღაურებული თანხის და დაზღვევის ხელშეკრულების ძალაში ყოფნის პერიოდის მიუხედავად.

რაც შეეხება პრემიის პირველი ტრანშის გადახდას, თუ მისი სრულად გადახდა არ მოხდება სადაზღვევო პერიოდის დაწყების თვის შემდეგი კალენდარული თვის 1 რიცხვამდე, მოხდება სადაზღვევო პოლისის ავტომატური ანუღირება მისი გაცემის თარიღით.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა

დაზღვევის პირობებით ან მომსახურების ხარისხით უკმაყოფილების შემთხვევაში, შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს, დაგვირეკოთ ცხელ ხაზზე: (+995 32) 242 22 22 ან მოგვმართოთ ელექტრონული ფორმით ჩვენი ვებ გვერდის საშუალებით: www.tbcinsurance.ge.

ასევე, შეგიძლიათ თქვენი საკითხი დააფიქსიროთ ჩვენს წარმომადგენელთან, შემდეგ მისამართზე:

- თბილისი, ალ. ყაზბეგის 24ბ. II სართული;
- ქუთაისი, გრიშაშვილის ქუჩა #16;
- ფოთი, აღმაშენებლის #57;
- ბათუმი, ზუბალაშვილის #37;
- ზუგდიდი, გამსახურდიას #35.

თქვენს შეტყობინებას განიხილავს სატელეფონო ცენტრისა და ხარისხის მართვის განყოფილება, შეტყობინების დაფიქსირებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მონაცემთა დაცვა

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კომპანიის ცხელ ხაზზე შემომავალი ყველა ზარი იწერება.

თქვენი პერსონალური მონაცემები დამუშავდება დაზღვევის პირობებში მითითებული მიზნებისთვის.

ინფორმაცია ჩვენი საზედამხებლო ორგანოს შესახებ

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური
მისამართი: ქ. თბილისი, ლევან მიქელაძის ქ. #3

გადლობთ, რომ სარგებლობთ ჩვენი მომსახურებით!